



1417/3-89/22 2 16022022

1417/3-89/22

16-02-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,


საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის ჩათვლით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იჯარის და ქირის გადასახადი ეპატიათ, ასევე გათავისუფლდნენ გადაუხდელობით ან დაგვიანებით გადახდის გამო დარიცხული ჯარიმებისა და სანქცია-საურავებისგან. გთხოვთ, მომაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, რომელ კომპანიებს, რა მოცულობით და რა პირობებით ეპატიათ დარიცხული ჯარიმები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი

გუბაზ სანიკიძე





KA020195335902522

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/1315

04 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ გუბაშ სანიკიძეს

ბატონო გუბაშ,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემოსული თქვენი (N1417/3-89/22; 16/02/2022) წერილის პასუხად, რომელიც შეეხება 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის პერიოდში, დარიცხული ჯარიმების გადახდისგან გათავისუფლების საკითხს, გიგზავნით სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას - ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, აღნიშნულ პერიოდში, იჯარის და ქირის გადასახადის გადაუხდელობის გამო დაკისრებული ჯარიმებისაგან გათავისუფლების შესახებ.

ამასთან გაცნობებთ, რომ დანართით წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

დანართი: 3 ფურცელი; 6 ექსელის დოკუმენტი.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელემენტურულად



ლევან დავითაშვილი